საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6460
03/08/2018

6460-09-2-201808031628

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მის.: თბილისი, დელისის I შესახვევი, 5ა.

თქვენი 2018 წლის 23 ივლისის N 3-227 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ სრულად იქნა მოწოდებული ინფორმაცია 2017-2018 წლებში სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში გამოვლენილ იმ შემთხვევებზე, რომლებშიც აღმოჩნდა შესაძლო დანაშაულის ნიშნები და საქმის მასალები სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა. რაც შეეხება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში აღმოჩენილი მავნე სურსათის იმ შემთხვევებს, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ასეთ შემთხვევებად სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო მიიჩნევს: თუ სურსათი/ცხოველის საკვები, ვეტერინარული პრეპარატი, აგროქიმიკატი, პესტიციდი შესაძლოა იყოს ფალსიფიცირებული - შეცვლილი იყოს პროდუქტის თვისობრიობა, აგრეთვე როდესაც ადამიანებში აღმოჩენილია სურსათისმიერი დაავადებები და სააგენტომ დაადგინა სურსათში იმავე ბიოლოგიური ან/და ქიმიური აგენტის არსებობა, რაც დაფიქსირებულ იქნა ადამიანებში. მსგავს შემთხვევაში, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო უგზავნის საგამოძიებო ორგანოებს საქმის მასალებს.

დემნა ხელაია

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge